



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

24 დეკემბერი 2024



N 725/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში შპს „ვერობეტონის“ თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ვერობეტონმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 432550125) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N460/ს) შექმნა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „ეკომეტრის“ მიერ.

2023 წლის 6 ივლისს, შპს „ვერობეტონის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N439/ს; 29/08/2023; სკოპინგის დასკვნა N24).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/10804), შპს „ვერობეტონის“ მიერ 2024 წლის 11 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N11717). კერძოდ, წარმოდგენილ იქნა ტყეკაფის აღრიცხვის განახლებული მასალები, სადაც დაზუსტებულ იქნა ტყეკაფის ჯამური ფართობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, დაზუსტდა საპროექტო ტერიტორიის კავთისხევის საბადოსთან თანაკვეთის ფართობის და ქვიშა-ხრემის მარაგის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, დაზუსტებულ იქნა გრუნტის მართვის საკითხთან, აგრეთვე, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქანების და წყლის შესაკავებელი ნაგებობაში წყლის შენარჩუნების საკითხების შესახებ ინფორმაცია. ასევე, მიწისქვეშა არხის მოწყობის საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N691/ს 12/12/2024), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით, 2024 წლის 1 და 18 ნოემბერს, შიდა ქართლის რეგიონარული სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში, თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობისათვის განკუთვნილი საპროექტო ტერიტორიის ინსპექტირება. 2024 წლის 18 ნოემბერს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ევრობეტონის“ მიერ, საპროექტო ტერიტორიაზე დაწყებულია წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. გამოვლენილ დარღვევაზე, შპს „ევრობეტონის“ მიმართ, 2024 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089562 ოქმი. ამასთან, 2024 წლის 5 სექტემბერს, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ GPS კოორდინატებზე: X-454550; Y-4638744, შპს „ევრობეტონის“ მიერ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გარეშე განხორციელდა სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) უკანონო სარგებლობა. გამოვლენილ დარღვევაზე, 2024 წლის 5 სექტემბერს, კომპანიის მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 086070 ოქმი (2024 წლის 6 სექტემბრის №002888 დადგენილება).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საქმიანობა დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტის, სოფ. ქებაანში. საპროექტო ტერიტორია (ტბორების განთავსების ადგილი და მიმდებარე ტერიტორია), რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 134 000 მ²-ს, ექცევა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. მიქელწყარო, მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 600 მეტრით. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 1,2 კმ-ში მდებარეობს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი - GE0000046 (კვერნაკი). ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაახლოებით 150 მეტრში მდებარეობს შპს „კავთურას“ ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო, ხოლო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია დამუშავებული კარიერები, რომლებიც არსებული მდგომარეობით არ არის რეკულტივირებული და ამოვსებულია წყლით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მსგავსი პროფილის მქონე ობიექტები წარმოდგენილი არ არის.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის ალტერნატივები. საპროექტო ტერიტორიის მდინარესთან და გზასთან სიახლოვის, მოსახლეობიდან დაშორების მანძილის, დატბორვის რისკებთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით, ადგილმდებარეობის ალტერნატივებიდან შერჩეულ იქნა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებული ტერიტორია, რომელიც ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 200.23.23652; ს/კ: 200.23.23631; ს/კ: 200.23.23615). უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 6 ტბორის მოწყობა, თითოეულის სიგრძე იქნება 100 მ, ხოლო სიგანე - 70 მ. წყლით დაფარული იქნება 42 000 მ² (4.2 ჰა) ფართობის ტერიტორია. ტბორების მაქსიმალური სიღრმე იქნება 1.5 მეტრი, ხოლო ტბორების მიერ შეკავებული წყლის რაოდენობა - 63 000 მ³. ტბორების წყლით მომარაგებისთვის გამოყენებული იქნება მდ.

მტკვარი. წყლის შესაკავებელი ნაგებობების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 5 წელს. თავდაპირველად მოეწყო და ექსპლუატაციაში შევა 2 ერთეული ტბორი, ხოლო შემდგომ 5 წლის განმავლობაში თანმიმდევრულად მოეწყო დარჩენილი 4 ტბორი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის განხორციელებისას სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. თევზსაშენი მეურნეობის ფუნქციონირების დაწყებამდე დასაქმებული პერსონალისთვის დაგეგმილია, მცირე ზომის (დაახლოებით 20 მ²) ხის კოტეჯის მოწყობა. თითოეული ტბორის მოსაწყობად საჭირო იქნება ერთი თვე. მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული იქნება 10 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, მუდმივად დასაქმებული იქნება 10-12 ადამიანი, დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, წელიწადში 365 დღე.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ტბორებში მოხდება სარკისებრი კობრის, თეთრი ამურის, თეთრი სქელშუბლას და ლოქოს მოშენება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალურ თევზსაშენში გამოზრდილი ლიფსიტების შეყვანა ტბორებში (რომლებიც შეძენილი იქნება კახეთის რეგიონში) აერაციის სისტემით აღჭურვილი ავტოცისტერნების გამოყენებით. წლის განმავლობაში მოშენებული თევზის რაოდენობა საწყის ეტაპზე იქნება დაახლოებით 10 ტონა, შემდგომ დაგეგმილია წელიწადში 60 ტონა თევზის მოშენება და რეალიზაცია. საპროექტო ტერიტორიაზე თევზის დამუშავება გათვალისწინებული არ არის. ტბორებში საჭიროებისამებრ (პერიოდულად) მოხდება წყლის ხარისხის შემოწმება, წყლის სინჯების აღება და ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება. თვეში ერთხელ განხორციელდება საკონტროლო დაჭერები თევზების ზრდის ტემპის დასადგენად. თევზების კვება განხორციელდება სპეციალური ნავის საშუალებით. საკვებად გამოყენებული იქნება ბუნებრივი ტიპის საკვები, რომლის ტერიტორიაზე შემოტანა განხორციელდება პერიოდულად, ადგილობრივი ბაზრიდან. ტბორებში გაშვებული ლიფსიტების სარეალიზაციო ასაკამდე გაზრდის (სასაქონლო წონის მიღწევის) შემდგომ, დაიწყება თევზის აქტიური ჭერა, რისთვისაც საჭირო იქნება ტბორის წყლის დონის ხელოვნურად შემცირება. ტბორებში წყლის დონის შემცირება, ასევე შეიძლება საჭირო გახდეს ტბორებში ჟანგბადის დონის გაზრდის მიზნით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე გამოყენებული იქნება შემდეგი მანქანა-მექანიზმები: ექსკავატორი, ორი თვითმცლელი და ბულდოზერი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტბორების მოწყობამდე ბულდოზერის დახმარებით მოხდება ტერიტორიაზე უკვე არსებული დაზიანებული გრუნტის გზების მოსწორება, ხოლო თითოეულ ტბორთან მისასვლელად დაგეგმილია 2 დამოუკიდებელი გზის მოწყობა - თითოეული იქნება 3 მ სიგანის, 500 და 434 მ სიგრძის. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შემდგომ, ბულდოზერის საშუალებით მოხდება მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა 10 სმ სიღრმეზე, ჯამურად 6 ტბორის მოწყობის შემთხვევაში მოიხსნება 4 200 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომელიც დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X - 455174.6, Y - 4638623.0; X - 455202.9, Y - 4638620.9; X - 455200.8, Y - 4638596.5; X - 455172.6 Y - 4638598.1). ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდეგ, მოხდება გრუნტის ამოღება და ტბორების მოწყობა. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად წყლის შესაკავებელი ნაგებობების ძირზე და გვერდებზე საიზოლაციო მიზნით მოეწყობა 1,5 მმ-იანი გეომემბრანა. ექვსივე ტბორის მოწყობის შემდგომ, ამოღებული გრუნტის მოცულობა იქნება დაახლოებით 58 800 მ³. ტბორების მოწყობის ეტაპზე ამოღებული გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება თითოეული ტბორის ირგვლივ შემოზვინვის მოსაწყობად (სიმაღლე დაახლოებით 1.5 მეტრი, სიგანე დაახლოებით 1.5 მეტრი). თითოეული ტბორის ირგვლივ შემოზვინვის მოსაწყობად საჭირო იქნება დაახლოებით 780 მ³ გრუნტის გამოყენება (6 ტბორის

შემთხვევაში დაახლოებით 4 680 მ³), ხოლო დარჩენილი გრუნტის (დაახლოებით 54 120 მ³-ის) გატანა, ტბორების მოწყობის შესაბამისად (თანმიმდევრულად), მოხდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ს/კ: 67.01.54.339; 67.01.54.338, რომლებიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ვალდებულია მოიჯარეს ტერიტორია დაუბრუნოს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პირვანდელ მდგომარეობაში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომპანიასა და კერძო მესაკუთრეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, კომპანია მიმართავს, როგორც სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტს, აღნიშნული გრუნტის საბოლოო მართვის ღონისძიებების დაზუსტების მიზნით. ანგარიშის მიხედვით, წყლის შესაკავებელი ნაგებობის გარშემო ასევე, მოხდება 0,7 მ სიმაღლის რკინის (ბადისებური) ღობეების მოწყობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნიადაგის მოხსნა, დასაწყობება, რეკულტივაცია და კონსერვაცია განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერების ღონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობებისა და ასევე, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მდ. მტკვრიდან ამოღებული წყალი ტერიტორიამდე მიყვანილი იქნება თვითდინებით (წყალაღების GPS კოორდინატებია: X - 453529; Y - 4639086). მდინარის წყლის ტბორებამდე მისაყვანად დაგეგმილია მიწისქვეშა არხის მოწყობა, რომელიც გაუყვება ტბორებისთვის განკუთვნილ ტერიტორიას სამხრეთით. მიწისქვეშა არხის მოწყობა განხორციელდება 800 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილებით, რომლის სიგრძე იქნება 1670 მეტრი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უშუალოდ წყალაღების წერტილი (ს/კ: 67.08.34.489) და არხი კვეთს (გარკვეულ მონაკვეთებზე) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა აღნიშნული არხის მოწყობასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული არხი ორ ადგილზე: 1) კოორდინატებით: X-453733.00 Y-4639055.00; X-453746.00 Y-4639052.00 (დაახლოებით 10 მეტრი) და 2) კოორდინატებით: X-454312.00, Y-4638832.00; X-454320.00 Y-4638828.00 (დაახლოებით 10 მეტრი) გადაკვეთს გრუნტის გზას. ანგარიშის თანახმად, მილები დაიფარება იმავე მიწით, რომელიც ამოღებული იქნება თხრილების მომზადებისას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტბორები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება 1 მ სიგანის და 0.6 – 0.7 მეტრი სიღრმის ღია არხებით. შესაბამისად, ერთი ტბორის შევსების შემდგომ თვითდინებით შეივსება მეორე, შემდგომ მესამე და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ სანამ არ მოხდება ყველა ტბორის შევსება. საჭიროების შემთხვევაში, მდინარეში წყლის ჩაშვების მიზნით, ასევე დაგეგმილია დაახლოებით 295 მ სიგრძის არხის მოწყობა, რომელიც მიუერთდება ერთ-ერთ ტბორს. აღნიშნული არხიდან წყალჩაშვება მოხდება თვითდინებით მდ. მტკვარში (წყალჩაშვების GPS კოორდინატებია: X - 455005; Y - 4638913).

ანგარიშის თანახმად, ტბორებში როგორც წყლის შედინების, ისე გადინების წერტილებში მოეწყობა სპეციალური მექანიკური ჩამკეტები, რომელთა გაღება-დაკეტვაც მოხდება საჭიროებისამებრ, ტბორების წყლით შევსება-დაცლის მიზნით. ტბორებში წყლის შედინების და გადინების წერტილებში, ასევე დაგეგმილია ფილტრების (რკინის წვრილი ბადეები) განთავსება, რათა არ მოხდეს მდინარიდან ტბორებში თევზის შესვლა, ხოლო ტბორებიდან ხელოვნურად მოშენებული თევზების მდინარეში მოხვედრა.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, მიედინება მდ. მტკვარი, საიდანაც ექვსივე ტბორის შესავსებად საჭირო იქნება დაახლოებით 63 000 მ³ წყლის აღება ერთჯერადად. ხოლო შემდგომ, წყლის დაახლოებით 20%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით (მაგ. აორთქლება) თვეში ერთხელ, თითოეულ ტბორში მოხდება 2000 მ³ წყლის დამატება. შესაბამისად, ექვსივე ტბორისთვის საჭირო იქნება თვეში 12 000 მ³ წყლის აღება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დასაქმებული პერსონალის სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება მოხდება ბუტილიზებული სახით, ხოლო წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-ფეკალური წყლების ჩაშვებისთვის ტერიტორიაზე დაგეგმილია საასენიზაციო ორმოს მოწყობა, რომლის გაწმენდაც მოხდება პერიოდულად, შესაბამისი კომუნალური სამსახურის მიერ. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში (ერთ პერსონაზე) საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 0,045 მ³ წყალი, ხოლო წლის განმავლობაში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება 197 მ³/წელ. საწარმოში წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის რაოდენობა იქნება 187 მ³.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური მონაცემები და აღნიშნულია, რომ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში, მდ. მტკვრის 1 %-იანი (100 წლიანი) განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 1754 მ³/წმ-ს, ხოლო მდ. მტკვრის საერთო წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე 8,5 მ-ის ტოლია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური რეჟიმისა და ასაღები წყლის რაოდენობის გათვალისწინებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე, ვინაიდან, თევზების გამოკვება მოხდება ბუნებრივი საკვებით ტბორის წყლის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის და თევზსაშენიდან ჩაშვებული წყალი მნიშვნელოვნად არ შეცვლის მდინარის წყლის ფიზიკურ-ქიმიურ და ბიოლოგიურ მაჩვენებლებს, რაც არსებულ იქთიოფაუნაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წყლის შესაკავებელი ნაგებობის და არხების მოწყობის სამუშაოების განხორციელებამ და შესაბამისი ტექნიკის მოძრაობამ შესაძლოა გამოიწვიოს ატმოსფერულ ჰაერში მტკვრის ნაწილაკების და წვის პროდუქტების ემისიები. თუმცა, ტბორების მოწყობა გათვალისწინებულია 5 წლის განმავლობაში, შესაბამისად, ტბორების მოწყობის სამუშაოებს ექნება პერიოდული ხასიათი და განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში, ასევე, სამუშაოები არ იქნება ხანგრძლივი და მასშტაბური. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპი დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასთან ან მტკვრის წარმოქმნასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყარო იქნება სატრანსპორტო საშუალებები. ვინაიდან, უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან 600 მეტრის დაშორებით, ხოლო ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო უბნის საინჟინრო - გეოლოგიური პირობები. საპროექტო უბნის ტერიტორიაზე მექანიზებულად გაყვანილი იქნა 3 შურფი, თითოეული 3 მ სიღრმეზე. მათგან ერთი

ჭალისზედა ტერასის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე, ორი ჭალისზედა ტერასის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას. შურფებიდან ამოღებულ გრუნტებზე განისაზღვრა გრანულომეტრიული შედგენილობა. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების თანახმად, უშუალოდ საპროექტო ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას და გამოირჩევა მდგრადობის საკმარისი ხარისხით. ჩატარებული საველე სამუშაოების (სარეკოგნოსცირო მარშრუტები, სამთო გამონამუშევრები) და არსებული ფონდური მასალების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი იქნა გრუნტების ორი სახესხვაობა: სგე – 1 კენჭნარი საშუალო და წვრილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებელით და კაჭარის ჩანართებით 10%-მდე, სგე – 2 კენჭნარი საშუალო და წვრილ მარცვლოვანი ქვიშა ხრემის შემავსებელით და კაჭარის ჩანართებით 25 – 30%. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საშიში გეოლოგიური პროცესებიდან საპროექტო უბნის ტერიტორიაზე აღინიშნება მდინარის მარჯვენა ნაპირის წარეცხვა. წყალდიდობის და წყალმოვარდნის პერიოდში ნაკადები რეცხავს ნაპირებს. ტერიტორიაზე გრუნტის წყლების ზედაპირული გამოსავლები არ ფიქსირდება, მდინარის ჭალისზედა ტერასაზე განლაგებულია 1 – 2,0 მ-ზე. ანგარიშის თანახმად, მოწყობის ეტაპზე დაგეგმილი არ არის მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები და იმის გათვალისწინებით, რომ განხორციელდება 800 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის წყალმიმღები მილების და წყლის შესაკავებელი ნაგებობებისთვის გეომემბრანის მოწყობა გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია ცხოველთა შემდეგი სახეობები: მემინდვრია (*terricola sp.*), მცირე თაგვი (*Sylvaemus uralensis*), ველის თაგვი (*Mus macedonicus*) და ზღარბი (*Erinaceus concolor*). ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ჩატარებული საველე კვლევისას სხვა სახეობები, მათ შორის წავი არ დაფიქსირებულა. ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და საველე კვლევის მიხედვით, საპროექტო და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა 13 სახეობა, რომელთაგან აღსანიშნავია: ტყის ღამორი (*Pipistrellus nathusii*), დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*), ჩვეულებრივი ღამურა (*Vespertilio murinus*), ხმელთაშუაზღვის ღამორი (*Pipistrellus kuhlii*), სავის ღამორი (*Hypsugo savii*) და სხვა. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის გავლენის ზონაში ღამურებისათვის საბინადრო გარემო არ არის, რადგან შესაბამისი ჰაბიტატი არ არსებობს. საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საველე კვლევისას, ხელფრთიანების არცერთი სახეობა არ დაფიქსირებულა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევისას დაფიქსირებულ იქნა ორნითოფაუნის შემდეგი სახეობები: სახლის ბელურა (*Passer domesticus*), ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*), შოშია (*Sturnus vulgaris*), ყვავი (*Corvus corone*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*), კაჭკაჭი (*Pica pica*), ჩვეულებრივი კირკიტა (*Falco tinnunculus*), გულწითელა (*Erithacus rubecula*) და შავი შაშვი (*Turdus merula*). ანგარიშის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე, ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლოა მოხვდეს ქვეწარმავალთა 12 სახეობა: გველხოკერა (*Pseudopus apodus*), ბოხმეჭა (*Anguis colchica*), ჭაობის კუ (*Emys orbicularis*), ამიერკავკასიური მცურავი (*Zamenis hohenackeri*), ჯოჯო (*Paralaudakia caucasia*) და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად წარმოდგენილია ბუჩქოვანი და მერქნიანი მცენარეები, როგორც არის: თელა, ვერხვი, ტირიფი, ცრუაკაცია, იალღუნი, ფშატი. ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება წითელი ნუსხით დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობები.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი ტყის აღრიცხვის მასალების თანახმად, 140 736 მ² ფართობი „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, კასპის სატყეო უბნის, ახალქალაქის სატყეოს კვარტალი N32, ლიტერი N 5-სა და ყოფილ საკოლმეურნეო ტყეს. ასევე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა, ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. ანგარიშს თან ახლავს, საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარის ზუსტი აღრიცხვის მიზნით ჩატარებული ტაქსაციის მონაცემები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია საკმაოდ დიდი მანძილით არის დამორებული, როგორც ალგეთის ეროვნული პარკიდან (16 კმ), ასევე ზურმუხტის ქსელის საიტი GE0000046 - კვერნაკიდან (1200 მ), შესაბამისად დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ტერიტორიის სიახლოვეს, ასევე არ მდებარეობს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ტბორების მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია ექსკავირებული გრუნტის წარმოქმნა, თუმცა, როგორც აღინიშნა, გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება ტბორების გარშემო შემოზონვის მოსაწყობად, ხოლო დარჩენილი ნაწილი, დროებითი განთავსების მიზნით, გატანილი იქნება კომპანიის მიერ იჯარით აღებულ ტერიტორიაზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება კონტეინერებში და გადაეცემა მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენები (წარმოქმნის შემთხვევაში) შეგროვდება სეპარირებულად, დახურულ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. ვინაიდან, თევზის რეალიზაციის წინ პროდუქციის დამუშავება არ ხდება და თევზსაშენიდან ამოღებისთანავე იგზავნება სარეალიზაციოდ, საწარმოო ნარჩენების წარმოქმნას პრაქტიკულად ადგილი არ ექნება.

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევში მდებარე აკვაკულტურის მოწყობის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტებით და სააგენტოში არსებული ინფორმაციით, კვეთს კავთისხევის ქვიშა-ხრემის საბადოს კონტურს, სადაც ტერიტორიის საბადოსთან თანაკვეთის ფართობზე (22 470 მ² და 3535 მ²) ქვიშა-ხრემის მარაგი შეადგენს 78015 მ³-ს. ვინაიდან, აღნიშნულ ტერიტორიებზე ფიქსირდება ქვიშა-ხრემის გამოვლინება, აღნიშნული დაექვემდებარება საკომპენსაციო თანხის გადახდას. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით“.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში, არ მდებარეობს მსგავსი ტიპის ობიექტები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 2 ოქტომბერს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქმიანობის განმახორციელებელი შპს „ევრობეტონის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „ეკომეტრის“, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე დასმული საკითხები შეეხებოდა საპროექტო ტერიტორიაზე ავარიული სიტუაციის წარმოშობის/ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში ტბორების დაზიანების და ნაგებობიდან გამონთავისუფლებული თევზის მდინარე მტკვარში მოხვედრის საკითხს. ასევე, ხეების ჭრის და აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს პოზიციას, აგრეთვე, ჭალის ხე-ტყის ჭრით სოფელის ქებაანის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვის საკითხს და პროექტის განხორციელებისას რეგიონში მეწყერსაშიში ზონების გათვალისწინებას, ასევე, ცხოველური ნარჩენების მართვას და კომპანიისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საკითხს. საჯარო განხილვის მსვლელობისას გამოთქმული შეკითხვები და მოსაზრებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, შპს „ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიას“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შენიშვნები/მოსაზრებები, რომელიც ეხებოდა საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მეტრში მდებარე კავთისხევის კარიერს, ამასთან, კარიერსა და საპროექტო ტერიტორიას შორის არსებულ საავტომობილო გზას, რომლის გასწვრივ დაგეგმილი იყო 1 მ სიგანის და დაახლოებით 1670 მ სიგრძის ღია არხის მოწყობა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე N21/10804 წერილით კომპანიას გაეგზავნა აღნიშნული შენიშვნები. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნულთან დაკავშირებით, საპროექტო ტერიტორიის არეალში ჩატარებული იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, მათ შორის გაყვანილი იქნა გეოლოგიური შურფები. რაც შეეხება, ღია არხის გაყვანის საკითხს, როგორც უკვე აღინიშნა რისკების თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ღია არხის ნაცვლად, აღნიშნული არხის მოწყობა განხორციელდეს იმავე ტერიტორიაზე, თუმცა მიწის ქვეშ.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და განხილულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 21-ე პუნქტის საფუძველზე და II დანართის 1.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში შპს „ევრობეტონის“ თევზის მოშენების მიზნით (აკვაკულტურის მეურნეობის) წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ევრობეტონმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
4. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც უნდა აისახოს, ბიოლოგიურ გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე დაკვირვებების შედეგების თაობაზე სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ტბორის თევზების ბუნებრივ გარემოში მოხვედრის საწინააღმდეგო სისტემა/მოწყობილობის ეფექტიანობაზე, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
5. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობა უზრუნველყოს ცხოველთა წინასამშენებლო კვლევის ჩატარება, ხოლო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია პროექტის გავლენის ტერიტორიაზე არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებით წითელი ნუსხისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებზე, როგორცაა მაგალითად წავი - *Lutra lutra*) და მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე. საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული და განხორციელებული იქნას დამატებითი შემარბილებელი, ზემოქმედების თავიდან აცილების, ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები;
6. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობამდე უზრუნველყოს მდინარე მტკვრის მინიმალური ხარჯის დაზუსტება და შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
8. შპს „ევრობეტონმა“ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით;
9. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობამდე უზრუნველყოს საქმიანობის „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება;
10. შპს „ევრობეტონმა“ საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის

31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;

11. შპს „ევრობეტონმა“ უზრუნველყოს წყალაღებისა და წყალჩაშვების არხის მოწყობისა და გრუნტის საბოლოო მართვის საკითხის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება;
12. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობამდე უზრუნველყოს, ტბორებისთვის გათვალისწინებული ფართობის გარეთ არსებული ტერიტორიის გამოყენების საჭიროების დასაბუთების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, შესაბამის განახლებულ shp ფაილებთან ერთად, რომელშიც ასევე ასახული იქნება ტბორებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ ინფორმაცია;
13. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობამდე უზრუნველყოს ტბორების თანმიმდევრულად მოწყობის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში მდინარე მტკვრიდან ასაღები წყლის რაოდენობის შესახებ (თვეების მითითებით) დაზუსტებული ინფორმაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
14. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობამდე უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
15. შპს „ევრობეტონმა“ წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობის დაწყებისა და დასრულების, ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
16. შპს „ევრობეტონმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
17. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ევრობეტონს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
18. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ევრობეტონის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
19. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



